დანართი 1. საპროექტო წინადადებების სრული განაცხადის ფორმა

1. ზოგადი ინფორმაცია

საპროექტო წინადადების სახელწოდება	*შემოთავაზებული საპროექტო წინადადების მოკლე სახელწოდება, მის შინაარსზე მითითებით:* მედიათეკა ლაგოდეხში
სრიგპ/"ურბანული განხლების" პროგრამებთან შესაბამისობა	*გთხოვთ, მიუთითოთ აქვს თუ არა ამ განაცხადს კავშირი მუნიციპალიტეტში განხორციელებულ სხვა პროექტებთან :* ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს ისტორიული მუზეუმის სრული რეაბილიტაცია. სწორედ რეაბილიტირებულ მუზეუმში იგეგმება მედიათეკის განთავსება, რომელსაც ექნება მულტიფუნქციური დანიშნულება. ამჟამად მიმდინარეობს მერის სათათბირო ორგანოს- ახალგაზრდული საბჭოების ფორმირების პროცესი. ახალგაზრდების გამოკითხვის ინსტრუმენტად ვიყენებთ სოლიდარობის ფონდი PL საქართველოში ლიცენზირებულ პლატფორმას LopiAsk. პროცესი მიმდინარეობს ღიად და გამჭვირვალედ. ყველა ახალგაზრდას, რომელსაც აქვს სურვილი, შეუძლია გახდეს ახალგაზრდული საბჭოს, როგორც წევრი, ასევე ლიდერი. მუზეუმის შენობაში მედიათეკას დაეთმობა ორი დიდი ოთახი, რომელიც ასევე იქნება ახალგაზრდების თავშეყრის, სამუშაო პროცესების წარმართვისა და განვითარების ხელშესაწყობი სივრცე. წარმოდგენილი იდეა შესაბამისობაშია სრიგპ-ის პროგრამებთან, მუზეუმის რეაბილიტაცია მიმდინარეობს სრიგპ-ის დაფინანსებით და წარმოადგენს დიდი პროექტის ერთგვარ გაგრძელებას.
საპროექტო წინადადების წარმდგენი	*გთხოვთ, მიუთითოთ საპროექტო განაცხადის წარმდგენი:* ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია
	გთხოვთ მიუთითოთ საპროექტო განაცხადის წარმდგენის მისამართი: ქალაქი ლაგოდეხი, 26 მაისის ქუჩა 25
	გთხოვთ მიუთითოთ საპროექტო განაცხადის წარმდგენის ელ.ფოსტა: Lag_gamgeoba@yahoo.com
პროექტზე პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ინფორმაცია	*სახელი და გვარი:* ჯონდო მდივნიშვილი
	თანამდებობა: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერი
	ტელეფონის ნომერი: 595889099
	ელ.ფოსტა: Lag_gamgeoba@yahoo.com
განხორციელების ადგილი	*რეგიონი:* კახეთი
	მუნიციპალიტეტი: ლაგოდეხი
	ქალაქი, დაბა, სოფელი: ქალაქი ლაგოდეხი

სამიზნე ჯგუფი/ ბენეფიციარები	*გთხოვთ განსაზღვრეთ პროექტის სამიზნე ჯგუფი/საბოლოო ბენეფიციარები:* პროექტის ბენეფიციარები არიან ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდობა და მოსახლეობა ნებისმიერი ასაკის ადამიანი, ლაგოდეხის ვიზიტორები.
პროექტის მთლიანი ბიუჯეტი	*გთხოვთ, მიუთითოთ განსახორციელებლად შემოთავაზებული პროექტის სავარაუდო ღირებულება:* 20000 ლარი
პროექტის განხორციელების დრო	*გთხოვთ, მიუთითეთ პროექტის განხორციელების დრო (თვეების რაოდენობა):* 2 თვე

2. პროექტის აღწერა და დასაბუთება

პროექტის მიზანი/მიზნებია	*გთხოვთ, ჩამოთვალოთ პროექტის მიზნები.* ა)პროექტის სტრატეგიული მიზნებია: - მუნიციპალიტეტის სერვისების გაუმჯობესება: -ახალგაზრდების ჩართულობისა და განვითარებისათვის ხელშეწყობა: -ვიზიტორებისათვის საინტერესო სივრცის შექმნა. ბ) პროექტის კონკრეტულ მიზანს წარმოადგენს ქალაქ ლაგოდეხში რეაბილიტირებულ ისტორიულ მუზეუმში მედიათეკის მოწყობა.
მოსალოდნელი შედეგები	*გთხოვთ, დაასახელოთ მოსალოდნელი შედეგები (მაქსიმუმ 2-3 შედეგი), რომელსაც პროექტის განხორციელება მოუტანს მოსახლეობას, ეკონომიკას ან მუნიციპალიტეტს. ასევე, მიუთითეთ კავშირი სხვა სამთავრობო პროექტების შედეგებთან* გრძელვადიანი შედეგები: -ახალგაზრდების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში გაზრდილია; -ფორმალური და არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში გაზრდილია. მყისიერი შედეგები: -საჭირო ტექნიკითა და ავეჯით აღჭურვილი გარემონტებული ინოვაციური სივრცე მუზეუმის შენობაში(ორი დარბაზი)
პროექტის აღწერა / დასაბუთება	*გთხოვთ, წარმოადგინოთ პროექტის მოკლე აღწერილობა, მის სოციალურ-ეკონომიკურ როლზე და მის მიერ ადგილობრივ და რეგიონულ მასშტაბით ზეგავლენაზე აქცენტის გაკეთებით. გთხოვთ, დაასაბუთოთ რატომ უნდა განხორციელდეს ეს პროექტი.* *დაასახელეთ ის პრობლემები, რომელთა მოგვარებასაც ემსახურება პროექტის განხორციელება. პოტენციალი, რომელიც შეიძლება განვითარდეს პროექტის განხორციელებით. ასევე, მიუთითეთ შესაბამისი რეგიონის განვითარების სტრატეგიასთან, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმასთან, სხვა შესაბამის სტრატეგიულ დოკუმენტებთან ან/და სრიგპ-ში მოცემულ ღონისძიებებთან კავშირი:* ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს ისტორიული მუზეუმის სრული რეაბილიტაცია. გარემონტებულ სივრცეში იგეგმება ქ.ლაგოდეხის ბიბლიოთეკის განთავსებაც. ამასთან ერთად სურვილი გვაქვს ამავე სივრცეში განვათავსოთ მედიათეკა,

	ტრადიციული ბიბლიოთეკის ალტერნატიული ფორმა, სადაც მოქალაქეებს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს, შეეძლებათ თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ სივრცეში წიგნების კითხვა, მუშაობა, სხვადასხვა შეხვედრების, პრეზენტაციების, ღონისძიებების გამართვა, ფილმების ჩვენება და არაფორმალური განათლების ინოვაციურ გარემოში მიღება. მედიათეკაში მომხმარებლებს სხვადასხვა ენაზე მუდმივად განახლებად წიგნებს შევთავაზებთ, რაც აღნიშნული სივრცით სარგებლობის საშუალებას მისცემს, როგორც ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს, ასევე მუნიციპალიტეტის ვიზიტორებს. ახალრეაბილიტირებულ მუზეუმში მედიათეკას დაეთმობა ორი ოთახი, რომელიც აღჭურვილი იქნება საჭირო ავეჯით(ავეჯს შეიძენს ა(ა)იპ ახალგაზრდული ცენტრი). აღსანიშნავია ისიც, რომ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერთან იქმნება სათათბირო ორგანო-ახალგაზრდული საბჭო, რომლის ფორმირების პროცესი უკვე დაწყებულია. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდები თავისუფლად შეძლებენ ისარგებლონ აღნიშნული სივრცით, რაც მათ მისცემს საშუალებას თავისუფალი დრო გაატარონ წიგნებით და ტექნოლოგიებით აჭურვილ გარემოში. ახალგაზრდები შეძლებენ არაფორმალურ სივრცეში იმსჯელონ, იფიქრონ, დაგეგმონ ახალგაზრდული საჭიროებები, ფრთა შეასხან არაერთ საინტერესო იდეასა და ინიციატივას, რაც ხელს შეუწყობს მათ გააქტიურებას და ჩარულობის გაზრდას გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. აღნიშნული სივრცის სათანადო ტექნიკით აღჭურვის და მოწყობის მიზნით, მიმდინარეობს მუშაობა სხვა დონორ ორგანიზაციასთან, თუმცა გრანტის მოცულობა დაბალია (საგრანტო მოცულობა 6000 ლარი) და საჭიროა სხვა ფინანსური რესურსის მოძიებაც, რათა ლაგოდეხში შექმნილმა ახალმა სივრცემ ,,მედიათეკამ" უფრო მეტი მომხმარებლის მიღება უზრუნველყოს.
ძირითადი აქტივობები	*გთხოვთ, ჩამოთვალოთ ის ძირითადი აქტივობები, რომლებიც აუცილებელია პროექტის განსახორციელებლად და ის სამუშაოები ან მომსახურებები, რომლებიც პროექტის ფარგლებში უნდა დაფინანსდეს:* -საპროექტო განაცხადის წარდგენა დონორი ორგანიზაციისათვის; -მედიათეკისათვის საჭირო ტექნიკის შეძენა და სივრცის მოწყობა.
წარმატების ინდიკატორები	*გთხოვთ, განსაზღვროთ ზუსტი ინდიკატორები და მათი შესაბამისი სამიზნეები, რომელთა მიღწევის შესაბამისად დადგინდება პროექტის შედეგიანობა და შესრულების ხარისხი* *საბოლოო შედეგის ინდიკატორ(ებ)ი:*

	-ახალაგაზრდების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში გაზრდილია 50 %-ით 2023 წლის 1 იანვრამდე. -ჩატარებულია 2 საგანმანათლებლო ტრენინგი პიროვნული განვითარებისთვის. -ახალაზრდების მიერ შემუშავებულია და წარდგენილია დონორ ორგანიზაციებთან 2 საპროექტო განაცხადი. -წიგნიერების ამაღლების მიზნით მოწყობილია 2 თემატური ღონისძიება.
	მყისიერი შედეგის ინდიკატორ(ებ)ი: მედიათეკა აღჭურვილია საჭირო ავეჯით, ინტერნეტით და ტექნიკით.
სხვა პროექტებთან ურთიერთშეთავსებადობა	*გთხოვთ, მიუთითოთ ეს პროექტი წარმოადგენს თუ არა სხვა წყაროებიდან დაფინანსებული პროექტების გაგრძელებას/გაფართოებას.* აღნიშნული პროექტი თანხვედრაშია ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმასთან, მის პრიორიტეტებთან, წარმოადგენს სრიგპ-ის მიერ დაფინანსებული პროექტის-,,ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ლაგოდეხის ისტორიული მუზეუმის რეაბილიტაცია"-ს ერთგვარ გაგრძელებას.
პროექტის მდგრადობა	*გთხოვთ, მიუთითოთ მოვლა-პატრონობისა და ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების წყარო(ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორი, სხვა):* პროექტის დასრულების შემდეგ მედიათეკას საექსპლოატაციო და მიმდინარე ხარჯებს უარუნველყოფს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია: მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია იქნება ა(ა)იპი ლაგოდეხის განათლების, კულტურის სპორტისა დაახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.

3. განხორციელება და დაფინანსება

საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების სტატუსი	*თუ საპროექტო წინადადება ითვალისწინებს საამშენებლო/სარემონტო სამუშაოებს გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია საპროექტო დოკუმენტების მომზადების სტატუსის შესახებ. გთხოვთ, მიუთითოთ მომზადებულია თუ არა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და შესაბამისი დადებითი საექსპერტო დასკვნა:* წარმოდგენილი იდეა შესაბამისობაშია სრიგპ-ის პროგრამებთან, მუზეუმის რეაბილიტაცია მიმდინარეობს სრიგპ-ის დაფინანსებით და წარმოადგენს დიდი პროექტის ერთგვარ გაგრძელებას.
	გთხოვთ, მიუთითოთ ინფორირებულია თუ არა პროექტის განხორციელების თაობაზე მუნიციპალიტეტის საკრებულო: პროექტის იდეა შეთანხმებული და მხარდაჭერილია ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.
დროის განრიგი	*საამშენებლო/სარემონტო სამუშაოების შემთხვევაში, გთხოვთ მიუთითეთ პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების დაწყების დაგეგმილი თარიღი:* რადგან პროექტით განსაზღვრულია მხოლოდ ტექნიკის შეძენა დროის განრიგი სრულად დამოკიდებულია დონორ ორგანიზაციაზე.

	საამშენებლო/სარემონტო სამუშაოების შემთხვევაში, გთხოვთ მიუთითეთ პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების დაგეგმილი თარიღი: *25 ნოემბერი 2022 წელი*
პროექტის სავარაუდო ბიუჯეტი და მოთხოვნილი გრანტი (ლარი)	*მოთხოვნილი გრანტის მთლიანი ღირებულება:* 20000 ლარი *მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანადაფინანსების ოდენობა:* *3000 ლარი* *სხვა წყაროებიდან დაფინანსების ოდენობა:* 6000 ლარი სოლიდარობის ფონდი PL საქართველოში. 10 000 ლარი იქნება ა(ა)იპი ლაგოდეხის განათლების, კულტურის სპორტისა დაახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.

4. კულტურულ, გარემოსდაცვითი და სოციალურ პრინციპებთან შესაბამისობა

შესაბამისობა ანტი დისკრიმინაციულ პრინციპთან	*გთხოვთ, აღწეროთ, რა ზემოქმედება ექნება პროექტს სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისა და გენდერულ ჭრილში თანასწორ მოპყრობაზე:* პროექტი სრულ შესაბამისობაშია ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობასთან. მედიათეკით სარგებლობას შეძლებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველა დაინტერესებული მოქალაქე განურჩევლად სქესისა, ასაკისა ეროვნული და ეთნიკური წარმომავლობისა.
გარემოზე ზემოქმედება	*გთხოვთ, აღწეროთ, თუ რა გავლენას მოახდენს პროექტების განხორციელება გარემოზე:* პროექტის განხორციელება გარემოზე ნეგატიურ ზეგავლენას არ მოახდენს. კანონმდებლობა არ მოითხოვს გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის წარმოდგენას.
პარტნიორობის პრინციპის განხორციელება	*გთხოვთ, აღწეროთ პროექტის ფარგლებში როგორ იქნება დაცული პარტნიორობის პრინციპი, როგორ არიან პარტნიორები ჩართულნი პროექტის მომზადებასა და განხორციელებაში:* პროექტის სრული ღირებულება იქნება 39000 ლარი. აქედან 20000 ლარი -ფონდიდან მოთხოვილი თანხა მოხმარდება ტექნიკის(7 ცალი პერსონალური კომპიუტერი, 5 ცალი წიგნის წამკითხველი-ე.წ.ებუქი, 1 ცალი მონიტორი) შეძენას: მუნიციპალიტეტის თანადაფინანსება 3000 ლარი განკუთვნილია 1 ერთეული პერსონალური კომპიუტერის შესაძენად და მედიათეკის საზეიმო გახსნისა და ლანჩის ორგანიზებისთვის; ,,სოლიდარობის ფონდი PL საქართველოში"-ს თანხები მოხმარდება ტექნიკის შეძენას(პროექტორი, პროექტორის ეკრანი, ლეპტოპი, ფერადი პრინტერი), ა(ა)იპი ლაგოდეხის განათლების, კულტურის სპორტისა დაახალგაზრდულ საქმეთა სამსახური 10000 ლარი(სამკითხველო დარბაზის წიგნების თარო 2 ცალი, სამკითხველო მაგიდა 8 ცალი, რბილი პუფი 10 ცალი, საცავის თაროები 6 ცალი, დეკორატიული თარო, ხელნაკეთი ნივთებისა და აქსესუარებისთვის 1 ცალი, საკონფერენციო მაგიდა 1 ცალი, საოფისე სკამი 15 ცალი)

თარიღი: 15.09.2022 წ.
ხელმოწერა